საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილებაN8

22 ივნისი 2012 წ.

ქ.თბილისი

,,ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის №2 დადგენილებით დამტკიცებულ ,,ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესებში" (სსმ, 24.02. 2012.) შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ბ.ვ) ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას;

2. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ბ.ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ე) ინტელექტუალური ქსელებით (მათ შორის, უფასო, განაწილებული ხარჯებით, დამატებული ღირებულების) მომსახურებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის ნებართვა გაიცემა მინიმუმ 10 (ათი) სააბონენტო ნომრისგან შემდგარ სააბონენტო ნუმერაციის ბლოკზე, ხოლო მაქსიმუმ – მინიმალური ოდენობის 10-ჯერად სააბონენტო ნუმერაციის თანმიმდევრულ ბლოკზე;

3. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მოკლე ნომრებით (რომლის სრული ფორმატი 5-ციფრიანია, მისი გამოყენება შესაძლებელია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ეროვნული დანიშნულების კოდისა და ეროვნული პრეფიქსის გარეშე) სატელეკომუნიკაციო (17XXX), ასევე არასატელეკომუნიკაციო (16XXX) მომსახურების მისაწოდებლად, ნებართვა გაიცემა 1 ნომერზე;"

4. მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის ე) ქვეპუნქტი:

"ე) ტექსტური/მულტიმედიური შეტყობინებების ნომრებით (რომლის ფორმატი 5 ციფრიანია (9XXXX)) უფასო, სტანდარტული ტარიფით, დამატებული ღირებულებით, დამატებული ღირებულების (საქველმოქმედო), დამატებული ღირებულების (ინტერაქტიული), დამატებული ღირებულების (მოზრდილთათვის) არასატელეკომუნიკაციო სერვისების მისაწოდებლად, ნებართვა გაიცემა მინუმუმ 10 (ათი) სააბონენტო ნომრისგან შემდგარ სააბონენტო ნუმერაციის ბლოკზე, ხოლო მაქსიმუმ - მინიმალური ოდენობის 10-ჯერად სააბონენტო ნუმერაციის თანმიმდევრულ ბლოკზე";

5. მე-8 მუხლის ზ) პუნქტი ამოღებულ იქნას;

6. მე-8 მუხლის კ) პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) ხუთციფრა მოკლე ნომრებზე სატელეკომუნიკაციო სერვისების მისაწოდებლად შეადგენს – 1500 ლარს ნუმერაციის ერთ რესურსზე."

7. მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის ლ) პუნქტი:

„ლ) ტექსტური/მულტიმედიური შეტყობინებების მოკლე ნომრისთვის შეადგენს - 5 ლარს ნუმერაციის ერთ რესურსზე."

8. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის ვ) ქვეპუნქტი:

ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირ „112"-ს ეროვნული

სასიგნალო წერტილის კოდი (NSPC) - უვადოდ.
9. მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე) 900-903 ნუმერაციის რესურსების გამოყენებით მიწოდებული შესაბამისი მომსახურებების საფასური შეიცავს დამატებულ ღირებულებას;"

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე		**ირაკლი ჩიქოვანი**
კომისიის წევრი		**სოფიო ბრიტანჩუკი**
კომისიის წევრი		**კარლო კვიტაიშვილი**
კომისიის წევრი		**აკაკი სიხარულიძე**
კომისიის წევრი		**ირაკლი მოსეშვილი**